# პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

## გადაწყვეტილება № 26

## 2014 წ. "29" 08

**ქ.თბილისი**

**ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ იკაროსის ავტორიზაციის შესახებ**

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად,

**საბჭომ გადაწყვიტა:**

1. ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ იკაროსს (საიდენტიფიკაციო კოდი: 211351071) 5 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (პროფესიული კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 800-ით.
2. ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ იკაროსს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №5 სხდომის ოქმის მე-12 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ქეთევან ჯაყელი

მდივანი
ლიანა ზამბახიძე

*დანართი*

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია | კრედიტების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| 1. | მზარეული | II | მზარეულის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 45 |
| 2. | მზარეული | III | მზარეულის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 45 |
| 3. | კონდიტერი | III | კონდიტერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 90 |
| 4. | ბარმენი | III | ბარმენის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 45 |
| 5. | ბარმენი *(მილევადი რეჟიმი)* | III | ბარმენის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 30 |
| 6. | გიდი | III | გიდის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია-ადგილობრივი გიდი | 60 |
| 7. | ტუროპერატორი | III | ტუროპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (ტურისტული მომსახურების დაჯავშნის სპეციალისტი) | 60 |
| 8. | სარესტორნო საქმის მწარმოებელი | III | სარესტორნო საქმის მწარმოებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 45 |
| 9. | სომელიე | III | სომელიეს მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 45 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 10. | სასტუმრო საქმის მწარმოებელი | III | სასტუმრო საქმის მწარმოებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 60 |
| 11. | მიმღები-რეცეფციონისტი | III | მიმღებ-რეცეფციონისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 30 |